2025 წლის 30 მაისს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ მორიგი სემინარი გაიმართა, რომელზეც საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა - **თეა ქამუშაძემ** წარმოადგინა მოხსენება თემაზე: ***„ქართული ეთნოლოგიური სკოლის განვითარების თავისებურებები - ადგილობრივი და საერთაშორისო კონტექსტი.“***

თეა ქამუშაძე მუშაობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტზე - *„ტრადიციების და თანამედროვეობის გადაკვეთა: ქართული ეთნოლოგიის გადაფასება პოსტკოლონიურ და ციფრულ ჭრილში ოქსფორდის უნივერსიტეტში“* (UOGSP-24-014). ის, როგორც მიწვეული მკვლევარი, კვლევებს ახორციელებს ოქსფორდის უნივერსიტეტის რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების განყოფილებაში. სემინარზე წარმოდგენილი იყო აღნიშნული პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს პირველადი ანგარიში.